

რეზაუ კაჭულია

ე.მ.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

ეკონომიკის გლობალიზაცია და საჯარო ფინანსების ბანკოთარების პრობლემები საქართველოში

ინფორმაციის სააგენტო

მსოფლიო ფინანსური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია ის ღრმა ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, კერძოდ: ტრანსფორმაცია ეროვნულ ეკონომიკებში, ადამიანებს შორის ურთიერთობებსა და მსოფლიო მეურნეობრივ ურთიერთობებში, სადაც საბოლოოდ განმტკიცდა ფინანსური დომინანტი; ფულის მთავარი თვისებრივი მახასიათებლის – ფინანსირებული ფასის დაკარგვა; თანამედროვე ფულის ფასი – მცურავი, განისაღვრება ეროვნულ-ფინანსურ ბაზრებზე; შემოსავლის, ლიკვიდობისა და რისკის მართვის ჩამოყალიბება ეროვნულ-ფინანსურ ბაზრებზე წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ფუნდამენტურ საფუძველს; ეროვნული ფინანსური ბაზრების ღია სისტემად გარდაქმნა და მათი გაერთიანება ერთიან პლანეტარულ-ფინანსურ ბაზრებში (ეროვნული ფინანსური ბაზრები არის ინტერნაციონალური სავაჭრო მოედნები, სადაც ეროვნული კანონმდებლობების ფარგლებში კვაზინაციონალური სუბიექტების მიერ მიმდინარეობს ოპერაციები ვირტუალური ფინანსური ინსტრუმენტებით, მათ შორის ფულით); შრომის საერთაშორისო დანაწილების ტრანსფორმაცია წარმოებითიდან ეკონომიკური დანაწილებისაკენ; ბიზნესის მთავარი მიზნის ტრანსფორმაცია კომპანიათა ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისაკენ; სამეურნეო გარემოს ვირტუალიზაცია, რომელიც აგებულია ვალდებულებებზე და რომლის ძირითადი ფორმაა ვადიანი კონტრაქტები; ფინანსური ეკონომიკის აგრესული ხასიათი, როგორც ალტერნატიულ მასშტაბებში ღირებულებით გლობალური მართვის ატრიბუტი, რომელიც ხორცშესხმულია „მებრძოლი“ მონეტარიზმით.

ოქროს სტანდარტის გაუქმებამ, სსრ კავშირის დაშლამ და ეროვნული ვალუტების მცურავი კურსის შემოდგამ განვითარებულ ქვეყნებს განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს გზა გაუხსნა ფასების მასშტაბის მანიპულირების უზრუნველსაყოფად.

ის გარემოება, რომ სავალუტო კურსი წარმოადგენს მხოლოდ აუცილებელ ღონისძიებას, მაგრამ არასაკმარისია იმისათვის, რომ ყველა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იქნეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია. აქ თავის გადამწყვეტ სიტყვას ამბობს ეროვნული მეურნეობების დოლარიზაცია. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 70% დოლარის მომსახურების სფეროში იმყოფება. საყურადღებოა ისიც, რომ ეროვნული მეურნეობის არც ერთ სუბიექტს არ შეუძლია საექსპორტო-საიმპორტო გარიგება მოახდინოს სახელმწიფოს ან ბანკის საფინანსო გარანტიის გარეშე. ასეთი გარანტიების ღირებულება წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების ვირტუალური შემოსავლების უდიდეს

წყაროს იმდენად, რამდენადაც ეროვნულ მეურნეობათა სუბიექტებისაგან პირდაპირი გარანტიები არ მიიღება. საჭიროა კონტრგარანტიები, რომლებსაც გასცემენ იგივე განვითარებული ქვეყნები.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გლობალიზაციამ თავისი შედეგები გამოიღო. უკანასკნელი პერიოდის მოვლენებმა დაადასტურა ლიბერალური მეურნეობების ისტორიული სახის უპირატესობები. სწორედ ლიბერალური ეკონომიკური და ფილოსოფიური აზრის ჩარჩოებში წარმოიშვა პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირველი თეორიები.

ლიბერალური ეკონომიკის სისტემამ შეძლო სოციალისტური რევოლუციებისაგან თავის დაღწევა, პროლეტარიატის დიფერენციაცია, მსოფლიო მასშტაბი აქტიურ რევოლუციურ პარტიასთან კონსოლიდაციის თავიდან აცილება, სოციალისტურ სისტემასთან იდეოლოგიური ბრძოლის მოგება.

ლიბერალური მოდელის გამარჯვებამ მსოფლიო მიიყვანა ერთ მეტად მნიშვნელოვან შედეგთან. სწორედ ლიბერალური პარადიგმა, ე.ი. შედარებით თანმიმდევრული კაპიტალიზმი წარმოადგენს ეკონომიკურ პარადიგმასაც, რომელიც განასახიერებს თანამედროვე მსოფლიო სულისკვეთებას. „ლიბერალ-კაპიტალიზმი“ თანამედროვე ეკონომიკურ სისტემად ჩამოყალიბდა.

„ეკონომიკა – ეს მხოლოდ ენაა, რომელზედაც შეიძლება ნებისმიერი წერილის ჩამოყალიბება. ეკონომიკის ლიბერალური მოდელი (ეკონომიკისი) არის წერილი განკერძოებისა და ენტროპიის ტრიუმფიდან სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ისტორიული ანსამბლისაკენ. ეს არის „თანამედროვე სულისკვეთების“ წერილი, განათლების წერილი“¹. მემარცხენეებმა (რადიკალური დემოკრატები, ჟან-ჟაკ რუსო, სოციალისტები, კომუნისტები) და მემარჯვენეებმა (ფუნდამენტალისტები, ტრადიციონალისტები, ინტეგრისტები) დიდი ხანია გაშიფრეს ლიბერალიზმის ბუნება, როგორც მსოფლიო ბოროტების განსახიერება. ეს მოახდინეს ფილოსოფიაში ჯონ ლოკმა, იერემია ბენტამმა, ჯონ მილმა, ხოლო ეკონომიკაში – ადამ სმიტმა და დავიდ რიკარდომ. ეს არის აგრეთვე თანამედროვეობის ავბედითი, ნიჰილისტური სულისკვეთება, რომელიც დაფუძნებულია „ღმერთისაგან დაშორებაზე“ (მ. ჰაიდეგერი). „ღმერთის სიკვდილზე“ (ფ. ნიცშე), „ექსპლოატაციაზე“ (კ. მარქსი).

ფინანსიზმი – ფინანსური ეკონომიკა არ არის პრინციპულად ახალი, ის არის „ლიბერალ-კაპიტალიზმი“ უფრო წმინდა ფორმით. ესაა მისი თავისებურება.

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ფინანსური სისტემა აგებული იყო კვლავწარმოებითი პროცესების ეკვივალენტურ გაცვლაზე. ამის შემდეგ დაიწყო მსოფლიო ფინანსების ტრანსფორმაცია. არენაზე გამოდის უახლესი ფინანსური ნაკადები, სადაც ერთმანეთში გადაიხლართა ეკვივალენტური გაცვლა კვლავწარმოებითი ციკლის ჩარჩოებში და ახლად შექმნილი კომპონენტი – მსოფლიო ფინანსური რესურსების გიგანტური მასა.

თავისი განვითარების მესამე ათასწლეულში კაცობრიობა შევიდა ხალხებისა და ქვეყნების ცხოვრებაში კოლოსალური ცვლილებებისა და უდიდესი სოციალური ექსპერიმენტების განხორციელების ეპოქაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თანამედროვე გლობალურ ეკონომი-

1 Дугин А.Г. Финансизм как высшая стадия развития капитализма. См. «Экономическая теория на пороге XX века», с. 46

კაში საქონლისა და ნედლეულის ბაზრები მსოფლიო ფინანსური ბაზრის მიერ ნებისმიერი ქვეყნის ძლიერ და სუსტი მხარეების კონტროლის ელემენტარულ საშუალებასაც არ იძლევა.

სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შესაფასებლად მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულია **სამეურნეო სისტემის ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებელი**.

ასეთ პირობებში აუცილებელია საფუძვლიანად გავაანალიზოთ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სტრუქტურა და მისი საბაზრო რეალიზაციის შესაძლებლობები, რომ ფხიზლად ავწონ-დავწონოთ და განვსაზღვროთ ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო ექსპერიმენტების მოსალოდნელი შედეგები.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად, რომლის გადაწყვეტასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფომ, არის ტერიტორიული კომპლექსების, დარგების, ფირმების და ამ უკანასკნელის სტრუქტურული ერთეულების ეკონომიკური პოტენციალის ფორმირების, პროგნოზირების და დაგეგმვის ამოცანა, რომლის სარეალიზაციოდ აუცილებელია გამოყენებული იქნეს სახელმწიფოს, დარგების, ფირმების, კორპორაციების ეკონომიკური და სამეწარმეო მაჩვენებელთა შესაძლებლობები და მათი მომავალში გამოყენების ხარისხი.

„ეკონომიკური პოტენციალის“ კატეგორია მჭიდრო კავშირურთიერთობაშია ისეთ კატეგორიებთან, როგორცაა: „ეროვნული სიმდიდრე“, „ეკონომიკური ძლიერება“, „რესურსები“ და ა.შ.

„ეროვნული სიმდიდრე“ ეს არის მატერიალური კეთილდღეობის ერთობლიობა, რომელიც შექმნილია წინამორბედი და ახლანდელი თაობების მიერ და ჩართულია ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების პროცესში. მოკლედ „ეროვნული სიმდიდრე“ ეს არის ბუნებრივი რესურსები, შექმნილი წარმოების საშუალებების, მატერიალური დოვლათის და სხვა ფასეულობათა ერთობლიობა, რომელსაც ქვეყანა ფლობს.

არსებითი განსხვავებაა „რესურსებსა“ და „პოტენციალს“ შორის. რესურსები არსებობს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო ცალკეული ფირმის, მთლიანობაში საზოგადოების პოტენციალი განუყოფელია სუბიექტების საქმიანობისაგან.

სხვა სიტყვებით, ტერმინ „პოტენციალში“, მატერიალურ და არამატერიალურ საშუალებებთან ერთად იგულისხმება მუშაკის, კოლექტივის, ფირმის, მთლიანობაში საზოგადოების უნარი ეფექტიანად იქნეს გამოყენებული არსებული საშუალებები და რესურსები.

ამრიგად საწარმოო პოტენციალი ეს არის პროდუქციის რეალური მოცულობა, რომლის წარმოება შეიძლება არსებული რესურსების სრული გამოყენების პირობებში.

ეკონომიკური პოტენციალის არსის გასარკვევად შეიძლება გამოვიყენოთ ოთხი მიდგომა:

1. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც ეროვნული მეურნეობის დარგთა ერთობლივი შესაძლებლობა;
2. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც არსებული რესურსების ერთობლიობა;
3. ტერმინების: „ეკონომიკური პოტენციალის“, „ეკონომიკური ძლიერების“, „სახალხო-მეურნეობრივი პოტენციალის“ გაიგივება;
4. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს შორის ეკონომიკური და წარმოებით ურთიერთობათა შედეგი.

ეკონომიკური პოტენციალის შეფასება წარმოებს შემდეგი მაჩვენებლების გამოყენებით: მოსახლეობის რიცხოვნობა, შრომითი რესურსების რიცხოვნობა; ძირითადი საწარმოო და არა-საწარმოო ფონდები; ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი; მინერალური, სანედლეულო, წყლის, ენერგეტიკის და სხვა რესურსები; სატრანსპორტო ქსელის განვითარების მაჩვენებელი.

ნებისმიერ ქვეყანაში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად ათვისებისა და გამოყენების მთავარი საწინდარია ფინანსური ბაზრის სრულყოფილი განვითარება, სხვანაირად შეუძლებელია ქვეყანაში ფინანსური რესურსების აკუმულაცია და მიზანმიმართული გამოყენება.

დღეს მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ძალიან მაღალი ტემპებით, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. უარსაყოფი არც ის არის, რომ პროცესები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გარშემო ხდება გავლენას მოახდენს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მაგალითად, ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ის, რომ ნავთობის გაძვირება თუნდაც არაბულ სამყაროში, კონკრეტულად ლიბიაში მიმდინარე პროცესების გამო საქართველოს უბრალო მოქალაქის ჯიბეზე ურტყამს. აქედან გამომდინარე ყველაფერს ამ გადასახედიდან უნდა შევხედოთ. დღეს ერთგვარი პერმანენტული ეკონომიკური კრიზისის ფონზე საზოგადოებრივი აზრის დომინანტი გაჩნდა. საზოგადოებრივი აზრი უფრო მეტ რეზონანსს იძენს ვიდრე ჰქონდა ადრე.

საქართველოს საბაზრო გარდაქმნების კარიბჭესთან მივიდა ფინანსური ბაზრისა და კაპიტალის არადამაკმაყოფილებელი განვითარების პირობებში, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებით.

ეროვნულ ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოჭრამ გაართულა ეკონომიკის განვითარება და დიდი პერიოდი დაგვიტოვა წინა სისტემაში მიღწეული ზრდის ტემპებთან მიახლოებისათვის.

ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოს ეკონომიკამ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო განიცადა გლობალური ფინანსური სისტემის უარყოფითი გავლენა. ჩვენს ქვეყანაში გლობალური ფინანსური სეკმენტის ფორმირება უნდა გახდეს ეროვნული ეკონომიკური ინტერესების სფეროს შემადგენელი ნაწილი და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საქართველოს ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობის მთავარი წყარო.

როგორც წესი, გლობალური კაპიტალისტური სისტემა აძლიერებს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არათანაბარ განვითარებას. ამასთან, გასული საუკუნის ბოლოს ფორმირებული ფინანსური ეკონომიკა უპირატესად მიმართულია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის კიდევ უფრო აღმა სვლის უზრუნველსაყოფად, მაშინ, როდესაც პერიფერიების ეკონომიკა კიდევ უფრო დესტრუქტიული ხდება. თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების თანამედროვე ვაჭრობის აღმავლობას და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთები, სავალუტო და აქციათა კურსები ურთიერთ დაკავშირებული და ურთიერთ დამოკიდებული ხდება.

ფინანსური კაპიტალის მეშვეობით მსოფლიო მეურნეობაში რეგულირება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გახსნილობას მოითხოვს, მაშინ, როდესაც განვითარებული საბაზრო

ეკონომიკის ქვეყნები ცდილობენ ბარიერი შეუქმნან განვითარებადი ქვეყნების უარყოფითი მომენტების შეჭრას თავიანთ ქვეყნებში.

გლობალური ფინანსური ბაზრების სწრაფი განვითარება და კაპიტალის ცირკულაციის სისტემა და მისი განვითარებული ქვეყნების ბაზრებში მიმართვა ზღუდავს განვითარებად ქვეყნებში ფინანსური რესურსების მობილიზაციის რეგულირებას.

საქართველოში 2010 წელს უნდა შემოსულიყო სულ ცოტა 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციები. საინვესტიციო სააგენტოს პროგნოზით 700 მლნ ლარის ინვესტიცია შემოვიდა. ერთადერთი, რომლის პროგნოზი რეალობასთან მეტ-ნაკლებად ახლოს აღმოჩნდა, ეს სავალუტო ფონდი იყო. საქართველოში 2010 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 553 მლნ დოლარი შემოვიდა. ასეთი მცირე მოცულობის ინვესტიცია ბოლო 7 წლის განმავლობაში არ ყოფილა.

საქართველოში 2010 წელს, წინა 2009 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 16%-ით შემცირდა.² სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით ქვეყანაში 2010 წლის ბოლო, მე-4 კვარტალში მხოლოდ 120 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო მთლიანად 2010 წლის მანძილზე 553 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია.

გასულ წელს საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ნიდერლანდები იყო, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში 143 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. მეორე ადგილზეა აშშ. მის მიერ საქართველოში განხორციელებულმა კაპიტალურმა დაბანდებებმა 108 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

უმსხვილეს ინვესტორთა სიაში მესამეა რუსეთი, რომლის მიერ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 51 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების 35% ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებზე მოდის. ინვესტიციების მთელი მოცულობიდან 16-16% მრეწველობისა და საფინანსო სექტორებზე მოდის, 15% – უძრავ ქონებაზე, ხოლო 17% ქვეყნის სხვა დანარჩენ სტრუქტურებზე³.

ქვეყანაში საინვესტიციო ურთიერთობათა პრობლემები უშუალო კავშირშია ფინანსებთან. ფინანსები განსაკუთრებული სფეროა. დღეს მსოფლიოში რეალური ხელისუფლება კონცენტრირებულია არა ფულად, არამედ ფინანსურ სფეროში. ფაქტობრივად მსოფლიო ეკონომიკას მართავს არა ფული, არამედ მისი შემცველები, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ჩათვლით, რომლებიც წარმოშობის ეროვნული ფინანსური ბაზრის სწრაფი ტემპით განვითარების აუცილებლობას.

როგორც წესი, ინვესტიცია ეს არის კაპიტალური დაბანდება, რომელიც მიმართულია ფირმებისა და კორპორაციების წარმოების ფაქტორებით (რეალური ინვესტიციებით) უზრუნველყოფის ან ფასიანი ქაღალდების (პორტფელური ინვესტიციების) შესაძენად. საწარმოთა დონეზე ინვესტიციების დაგეგმვისას მთავარი ყურადღება ექცევა რეალურ ინვესტიციებს, რაც შეეხება პორტფელურ ინვესტიცას იგი დამატებითი რესურსების მობილიზაციის საშუალებაა.

2 აქ მოტანილი მონაცემები აღებულია სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (ავტორი).

3 სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას უპირატესად მოზიდული სახსრებით. რაც შეეხება საკუთარი სახსრებით დაფინანსებას, იგი ფაქტობრივად თვითდინებაზეა მიშვებული.

იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების შინაგანი წყაროების ეკონომიკური შინაარსი აუცილებელია გავარკვიოთ შემოსავლისა და ხარჯების თანაფარდობა თანაც დავაზუსტოთ მოგების მოცულობა, როგორც დაფინანსების საკუთარი წარმოების საფუძველი. აქ ყურადღება უნდა მიექცეს:

1. დაფინანსებას **აქტივებისა პასივების შეფარდებით მიღებულ გარდამეტს**, რომელიც არ გამოიყენება დივიდენდების ასანაზღაურებლად და
2. დაფინანსებას **ამორტიზაციის ანგარიშებიდან**.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება მოზიდული სახსრებით ხორციელდება ფინანსური ბაზრების (კრედიტისა და კაპიტალების ბაზრები) მეშვეობით.

ინვესტორის ან ფირმის დაფინანსების პრობლემათა გადასაჭრელად აუცილებელია პირველ რიგში დაგვემილი იქნეს საინვესტიციო პროგრამა და შემდეგ გავიდნენ დაფინანსების ბაზარზე, რომ იპოვონ კრედიტორები, რომლებსაც შეუძლიათ დაგვემილი საინვესტიციო პროგრამის მთლიანად ან ნაწილობრივად დაფინანსება.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების რეალურობა მოითხოვს ოპტიმალური დაფინანსებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც ართულებენ დაფინანსების რეალურობასა და შედეგიანობას:

1. ფირმა, რომელიც საჭიროებს კაპიტალს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მთლიანობაში საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის ოპტიმალურ დაფინანსებას;
2. თუ კრედიტორი სრულყოფილად ვერ ფლობს ფირმის ფინანსურ მდგომარეობას, იგი წინააღმდეგია დააფინანსოს ფირმისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური სიძნელეები. დღის წესრიგში დგება ფირმას მოსთხოვოს კრედიტის დამატებითი გარანტიების შემუშავება.
3. სერიოზულ პრობლემას ქმნის ისეთი შემთხვევები, როდესაც ფირმის მესაკუთრე მონაწილეობას არ ღებულობს მის მართვაში და ამ ფუნქციას მთლიანად აკისრებს მენეჯერებს.

ფირმის საინვესტიციო ურთიერთობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფირმის სამეწარმეო საქმიანობის ზოგიერთ თავისებურებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ფირმის საინვესტიციო ფუნქცია წარმოადგენს ფირმის სამეწარმეო განვითარების საერთო ეკონომიკური სტრატეგიის ორგანულ ნაწილს. აქედან გამომდინარე, ფირმის ეკონომიკური განვითარების ამოცანები მოითხოვს აქტივების მოცულობის გაფართოებასა და მისი შემადგენლობის განახლებას, რაც უპირატესად მიიღწევა საინვესტიციო საქმიანობის პროცესში.

ფირმის (კორპორაციის) საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების წყაროებია: საკუთარი ფინანსური რესურსები და ინვესტორის შიგნამეურნეო რეზერვები, რომელიც მოიცავს ფირმის ორგანიზაციის მომენტში დამფუძნებელთა თავდაპირველ შენატანებს და იმ ფულად სახსრებს, რომელიც მიღებულია ფირმის სამეურნეო საქმიანობის შედეგად, სახელდობრ მოგების, საამორტიზაციო ანარიცხების, სადაზღვევო ორგანოების მიერ აგარიებისა და სტიქიური

უბედურებით მიყენებული ზარალის დაფარვის გზით;

ინვესტორის ნასესხები ფინანსური სახსრები წარმოგვიდგება საბანკო კრედიტის, საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის, საბიუჯეტო კრედიტის სხვათა სახით;

ინვესტორის მიერ მოზიდული ფინანსური სახსრები რომელიც მიიღება აქციების გაყიდვით, იურიდიული და ფიზიკური პირების საპაიო შენატანების გზით;

საინვესტიციო ასიგნებები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან;

უცხოური ინვესტორების სახსრები, რომელიც ფორმებს ეძლევა ერთობლივი საწარმოების საწესდებო კაპიტალში მონაწილეობის ფორმით.

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკისა და ფინანსების პრობლემებს შორის მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინფლაციური პროცესების მოწესრიგება. სამწუხაროდ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ინფლაცია არნახულ დონემდე გაიზარდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2011 წლის თებერვალში, იანვართან შედარებით ინფლაცია 2.8%-ით გაიზარდა. თებერვალში წლიური ინფლაცია თითქმის 14%-მდე ავიდა (2011 წლის თებერვალში 2010 წლის თებერვალთან შედარებით 13.7%-ით გაიზარდა). მაშინ, როდესაც 2011 წლის იანვრის ინფლაციის დონემ წინა წლის იანვართან შედარებით 12.3% შეადგინა. დღემდე ვერ მოხერხდა მზარდი ინფლაციის შეჩერება. უფრო მეტიც, ინფლაციის დონემ მიმდინარე წლის მარტში, წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით 13.9% შეადგინა.

ინფლაციის ზრდის ტემპებით საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. მართალია ინფლაციისაგან დაზღვეული არ არის ევროპის სხვა სახელმწიფოები, თუმცა ამ ქვეყნებში ინფლაციის მინიმალური ზრდა ფიქსირდება. მაგალითად, 2010 წლის იანვარში მთლიანად ევროკავშირში ინფლაცია მხოლოდ 1.7% იყო. რუმინეთში ინფლაციამ 7% მიაღწია, ესტონეთში – 5.1%-სს, საბერძნეთში კი 4.9 %-სს.

ქვეყანაში ინფლაციის მაღალი ტემპების პირობებში გრძელდება ეროვნული ვალუტის-ლარის გამყარება.

რა შედეგებს მოგვცემს ლარის გამყარება?

2011 წლის 20 თებერვლიდან მოყოლებული ლარის კურსი დოლარის მიმართ იზრდება: 5 მარტისათვის ერთი დოლარი 1.72 ლარს შეადგენდა. მოსალოდნელია ინფლაციის ზრდა, რასაც თან მოჰყვება ლარის გამყარების გაგრძელება. რამ განაპირობა ლარის კურსის სტაბილურობა? ლარის კურსის გამყარების ერთ-ერთი მიზეზია ლარზე მოთხოვნის ზრდა და ინვესტიციების შემოსვლა.

საზგასანმელია ის გარემოებაც, რომ ლარის კურსის მკვეთრი გამყარება განპირობებულია ინფლაციისა და ფასების მოსალოდნელი ზრდით. ოფიციალურად ინფლაციის ზრდამ 12.3% შეადგინა და მარტში იგი უფრო მაღალი გახდა იმ მარტივი ჭეშმარიტების გამო, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდის ტენდენცია გრძელდება. ამის მთავარი მიზეზია ნავთობისა და მარცვლეულის ფასების ზრდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ოქროსა და ვერცხლის ფასები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი 1 ლარით გაძვირდა, რძის ფხვნილის ფასი იანვართან შედარებით 40 %-ით მეტად გაიზარდა. 1 მარტიდან ფაქტობრივად სასურსათო საქონლის აბსოლუტური უმრავლესობის ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ქვეყანაში ფასების შემაკავებელი ბერკეტი არის ლარის კურსის გამყარება. ინფლაციის შესაკავებლად მიმოქცევაში ლარის მასა უნდა შემცირდეს, რაც უკანასკნელ პერიოდში რეკორდულად გაიზარდა. თუ 2009 წლის თებერვალში მიმოქცევაში 1.17 მილიარდი ლარი იყო 2010 წლის დეკემრისათვის 1.62 მილიარდ ლარს მიაღწია. არსებითად გაიზარდა სამთავრობო ხარჯები. იგი ბიუჯეტის შემოსავლებს მნიშვნელოვნად აღემატება. და ეს დისბალანსი 2010 წელსაც შენარჩუნდა. კომერციულმა ბანკებმა განსაკუთრებით დიდი მოცულობის სესხები გასცეს, რამაც მიმოქცევაში ფულის მასა გაზარდა. დღეისათვის ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან ლარის ამოდების გზას დაადგა, რაც სხვა არაფერია თუ არა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, რაც საბოლოო ჯამში საბანკო დაკრედიტების შეზღუდვას გამოიწვევს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული ბაის წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2010 წლის მსგავსად, 6%-ს შეადგენს, თუმცა, მისი მიღწევა დღევანდელი გადასახედიდან რეალობას არ ექვემდებარება.

ასეთია მოკლედ ქვეყანაში საჯარო ფინანსების განვითარების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები.